



ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი

*გამარტივებული ელექტრონული ტენდერის
საშუალებით ბეჭდვითი მომსახურებების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია*

CPV 79800000

ქ.თბილისი

2016 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვების პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება N9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ.“ იხილეთ: www.procurement.gov.ge

1.2. ტენდერთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტი ან/ და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნორმატულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3. დავების შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში- სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.5. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად.

1.6. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

1.7. დამატებითი ინფორმაციის მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის 99/1 სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“ ტელეფონი : 2943641; 599762479 თამარ მაისურაძე

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

| № | დასახელება | აღწერილობა | მოწოდების პირობები | განზომილება | რაოდენობა |
|---|------------|--|--|-------------|-----------|
| 1 | აფიშა | A2 ფორმატი; 130გრ. ქაღალდი. | ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ყოველ კვირეულად განახლებული ინფორმაციით, ტირაჟით 50-100 ცალი. | ცალი | 1000 |
| 2 | პლაკატი | A2 ფორმატი 130 გრ ქაღალდი. | შემსყიდველის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და დიზაინის მიხედვით. ეტაპობრივად ტირაჟი 50-100 ცალი | ცალი | 1000 |
| 3 | ტრიპლეტი | 210 გრ ცარცის ქაღალდი. ორმხრივი ბეჭდვა, A4 ფორმატი, სამაგი კეცვით. | მოთხოვნის შესაბამისად შემსყიდველის მიერ მიწოდებული სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიხედვით. ტირაჟი 50-150 ცალი | ცალი | 800 |
| 4 | ბლანკი | A4 ფორმატი, ლინელის ქაღალდი | მოთხოვნის შესაბამისად, ერთჯერადად. | ცალი | 1000 |
| 5 | მოსაწვევი | 15X10სმ 300გრ ცარცის ქაღალდი, ორმხრივი ბეჭდვა | მოთხოვნის შესაბამისად, ერთჯერადად. | ცალი | 1500 |

- ❖ ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია უნდა და დაიბეჭდოს უმაღლესი ხარისხით 4 ფერში CMYK
- ❖ ბეჭდვა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მიწოდებული სარეკლამო შინაარსის დიზაინის მიხედვით.
- ❖ ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტმა, გამარჯვებულის გამოვლენამდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად უნდა წარმოადგინოს ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული საქონლის ნიმუში. მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3(სამი) სამუშაო დღის ვადაში.

3. სატენდერო წინასააღებების ფასი:

- 3.1. სატენდერო წინადადების სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 7900 (შვიდი ათას ცხრასი) ლარი
- 3.2. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
- 3.3. დაფინანსების წყარო: საკუთარი სახსრები.

4. საქონლის მიწოდების ვადები და პირობები

- 4.1. საქონლის მიწოდება მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ეტაპობრივად, 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნიდან 3(სამი) კალენდარული დღის ვადაში.
- 4.2. საქონლის მიწოდების ადგილია: ქალაქი თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ, 99/1 სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“

5. ანგარიშსწორების პირობები:

- 5.1. მხარეებს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.
- 5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნაღებისა და/ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის თარიღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- 5.3. წინასწარი ანგარიშსწორება ავანსი არ გამოიყენება.

6. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა:

- 6.1. თუ ტენდერში პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3(სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, ანგარიშფაქტურა, ინვოისი ან სხვა დოკუმენტაცია, რომელიც დადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

ტენდერში მონაწილე პირის მიერ წარმოსადგენი შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ✓ ფასების ცხრილი დანართი №1-ის შესაბამისად.
- ✓ რეკვიზიტები დანართი № 2 -ის სახით.

პრეტენდენტის დასახელება -----

| № | დასახელება | მოწოდების პირობები | განზომილება | რაოდენობა | ერთ.ფასი | ჯამი |
|--|---|---|-------------|-----------|----------|------|
| 1 | აფიშა A2 ფორმატი, 130 გრ. ქაღალდი. | ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ყოველ კვირეულად განახლებული ინფორმაციით, ტირაჟით 50-100 ცალი. | ცალი | 1000 | | |
| 2 | პლაკატი A2 ფორმატი, 130გრ ქაღალდი | შემსყიდველის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და დიზაინის მიხედვით. ეტაპობრივად ტირაჟი 50-100 ცალი | ცალი | 1000 | | |
| 3 | ტრიპლეთი 210 გრ ცარცის ქაღალდი. ორმხრივი ბეჭდვა, A4 ფორმატი, სამაგი კეცვით. | მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მიერ მიწოდებული სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიხედვით. ტირაჟი 50-150 ცალი | ცალი | 800 | | |
| 4 | ბკალკი A4 ფორმატი, ლინელის ქაღალდი | მოთხოვნის შესაბამისად, ერთჯერადად. | ცალი | 1000 | | |
| 5 | მოსაწვევი 15X10სმ 300გრ ცარცის ქაღალდი, ორმხრივი ბეჭდვა | მოთხოვნის შესაბამისად, ერთჯერადად. | ცალი | 1500 | | |
| საერთო ღირებულება ----- (თანხა სიტყვიერად) | | | | | | |

❖ საქონლის შესყიდვის მიწოდების ვადა ეტაპობრივად 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში

პრეტენდენტის ხელმოწერა, ბეჭედი _____

რეკვიზიტები

დანართი №2

| | |
|---|--|
| პრეტენდენტის იურიდიული ფორმა დასასახელება | |
| ხელმძღვანლის სახელი და გვარი | |
| პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტობრივი მისამართი | |
| საიდენტიფიკაციო კოდი | |
| პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი | |
| ელექტრონული მისამართი | |
| ბანკის დასახელება | |
| ბანკის კოდი | |
| ბანკის ანგარიში | |

პრეტენდენტის ხელმოწერა, ბეჭედი _____

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს რომელიც გაფორმდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად რომელიც ამოვდროულად თანდაერთვება ხელშეკრულებას როგორც მის განუყოფელ ნაწილს.

ქ. თბილისი

_____ 2016 წ.

ერთი მხრივ, სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“ (შემდგომში – “შემსყიდველი”), წარმოდგენილი _____ სახით და მეორე მხრივ, _____ (შემდგომში – “მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი _____ სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის N98რძანებით დამტკიცებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მოთხოვნათა შესაბამისად და სატენდერო წინადადების №SPA გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბეჭდვითი მომსახურების შესყიდვა კლ.კოდი CPV 79800000 სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად.
- 1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის დასახელება და პარამეტრები მოცემულია დანართი#1 სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

- 2.1. ხელშეკრულების ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
- 2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: -----() საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

- 3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება ხარისხიანი და უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს კონკრეტული საქონლისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- 3.2. იმ შემთხვევაში თუ შესყიდვის ობიექტი გამოდგება უხარისხო/დეფექტიანი ან სხვა ობიექტური წუნის მქონე, მიმწოდებელმა შეტყობინების მიღებიდან 24 საათის ვადაში უნდა უზრუნველყოს მისი ჩანაცვლება.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

- 4.1. საქონლის შესყიდვა განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 4.2. მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.
- 4.3. საქონლის მოწოდების ადგილი: ქ.თბილისი, დ.ადამაშენბლის გამზ 99/1 სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.2. საქონლის შესყიდვის პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები და/ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა)

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

- 6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში;
- 6.2. საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით;
- 6.3. ანგარიშსწორების გრაფიკი ეტაპობრივად, ხელშეკრულების 5.1 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენიდან, არაუგვიანეს 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
 - მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- 7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
 - მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
 - უზრუნველყოს საქონლის მიღება.
- 7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
 - მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
- 7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
 - დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

- 8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 8.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების/გადასახდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
- 8.3. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
- 8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

- 10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიმართ, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.
- 10.2. წინამდებარე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-მეტე ოდენობით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 11.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
- 11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ფორს-მაჟორი

- 12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;
- 12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;
- 12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

- 13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;
- 13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შემოწმების პირობები

- 14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდებისას, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და მოთხოვნებთან;
- 14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველო ორგანიზაციის მხრიდან განახორციელებს ---
- 14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან/და დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;
- 14.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე გამოვლენილი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

- 15.1. არც ერთ მხარეს აქვს უფლება თავისი უფლებები და მოვალეობები გადასცეს მესამე პირს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
- 15.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
- 15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ინახება მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
- 15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

დამკვეთი:

სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“

მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #99/1

ს/კ 202063989

მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი: TRESGE22

მიმღების ანგარიში/ სახაზინო კოდი_ 708199800

შემსრულებელი:

